



CMC Consulting,

ჭავჭავაძის ქ, 33 თბილისი

ბატონებო.

გიგზავნით ჩვენს განახლებულ წინადადებას მერსედერსის ცენტრის ფასადის მოწყობასთან დაკავშირებით:

- 1) ალუმის საფასადე სისტემად გამოყენებულია კომპანია HUECK ის მიერ წარმოებული TRIGON 60 სისტემა, ხოლო გამლები ელემენტებად შერჩეულია Lambda 65 სისტემა. გთხოვთ იხილოთ შესაბამისი ნახაზები და სპეციფიკაციები.
- 2) ორმაგი მინაპაკეტის საწარმოებლად გამოყენებულია Guardian_ის წარმოების დაბალემისიური მინა SN 70/37 ზომებით 8-1,52-6-16-8-1,52-6 მმ. მინაპაკეტის შემადგენელი ორივე მინა ნაწართობია და ლამინირებული. გთხოვთ იხილოთ შესაბამისი სპეციფიკაცია და სიმტკიცეზე ანგარიში.
- 3) ფასადის საყრდენი ლითონკონსტრუქციის ელემენტებად გამოყენებულია ქარხნული წარმოების S255J2 მარკის კუთხოვანი მილები ზომით 100x300x10 მმ (ვერტიკალური) და 100x150x10 მმ (ჰორიზონტალური). გთხოვთ იხილოთ შესაბამისი წინასწარი გაანგარიშება ლითონკონსტრუქციის შედუღების მასალად გამოყენებულია Magmaweld ის ევროპული წარმოების, მაგმაველდის ფირმის, შედუღების მათული.
- 4) ლითონკონსტრუქციის ანტიკოროზიული დაფარვისთვის გამოყენებულია caparl ის ევროპული წარმოების საღებავი RAL 7016 გთხოვთ იხილოთ სპეციფიკაცია.
- 5) სამუშაოების შესრულების ხანგრძლივობა შეადგენს ავანსის ჩარიცხვიდან 5 თვეს.

პატივისცემით

დავით ქვირიას
დირექტორი

